პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით
შაბათი, 26 ივლისი 1924 წ.
წელიწად- მეოთხე
ფასი 3 კაპ. ჩერ.

წითელი არმიელი

№ 557
ქ. მ. დ. პოლიტ-გან-ის. ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 16
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათმდე

მივაქციოთ წვრილმანს ყურადღება

მთელი—წვრილმანისაგან შესდგება.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ ჯარის ნაწილების სხვა და სხვა მსხვილ ნაკლებზე. გვეუბნებიან ამის შესახებ ჩვენი უფროსი ამხანაგებიც.

წვრილმანზედაც ნუ დაგვავიწყდება.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რა საჭიროა გაზეთში წერა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს წით. არმიელის მიერ უეცრად გახეულ შარვლის გაკერვას.

ეს შემცდარი აზრი იქნება.

და აი რატომ?

წითელი არმია ხომ ორი და სამი კაცისაგან არ შესდგება, იგი რამოდენიმე ათასია. ათას კაცს—ათასი შარვალი სჭირია. ყოველმა მათგანმა რომ თვალი აარიდოს დახეულ ტანსაცმელს მაშინ რა გამოვა?

ის გამოვა რომ ერთ მშვენიერ დღეს არც ერთს არ ეცმის ტანს.

ასევე ითქმის ფეხსაცმელზე.

ფეხსაცმელს მოვლა უნდა. მას ესაჭიროება გაწმენდა, რომ ფეხზე არ მოგიჭიროს და არ დასკდეს, არ დაიხეს ადრე და მალე; არ დარჩე ფეხშიშველი.

აი ყოველივე ეს წვრილმანია, მაგრამ საერთო შედეგით ვეებერთელაა და მეტად საგრძნობი.

ამიტომ ჯარის საერთო ცხოვრების გაუმჯობესების ლაპარაკის დროს, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ეს წვრილი, მაგრამ მსხვილი მნიშვნელობის საქმე.

თვითეული ჩვენთაგანი ყოველთვის მზად უნდა იყოს ნემსითა და ძაფით; გახევა თუ გაერღვევა ტანსაცმელი, მაშინვე გაკეროს, მოაწყდება ფოლაქი, მაშინვე მიაკეროს.

ფეხსაცმელი ყოველთვის გაწმენდილი უნდა ჰქონდეს.

საერთოდ უნდა ვეცადოთ გვეცვას სუფთად და კოხტად.

მობაძუებული წითელ არმიელი, წითელი არმიელი ვერ არის.

ამას კი მივაღწევთ მაშინ, თუ ყველა ჩვენთაგანი კეთილად და სინდისიერად შეასრულებს ჩვენი უფროსი ამხ. **ტროცკის მოწოდებას: „ყურადღება წვრილმანს“.**

„ყურადღება წვრილმანს“, რომ ჩვენი წვრილი დანაკლისით სახალხო ქონებას მსხვილი დანაკლისი არ მივსცეთ.

ვერ შეთანხმდებიან.

ერთ კვირაზე მეტია, რაც ლონდონში სწარმოებს მოკავშირეთა მოლაპარაკება გერმანიის საკითხის შესახებ.

როცა დაიწყო ეს კონფერენცია ჩვენ ვსთქვით, რომ ის ვერავითარ ნაყოფს ვერ გამოიღებს. რაც დღე მიდის, მით ეს დებულება უფრო და უფრო მართლდება.

ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის, ბელგიის და სხვ. იმპერიალისტები თავს იმტვრევენ ისეთ გეგმის გამომუშავებაზე, რომლის საშვალებით მათ შეეძლებათ გერმანიის გაფცქვნა და გაძლეტა.

მაგრამ თითეული მათგანი სცდილობს გერმანიის გაძარცვის დროს უფროსი ლუკმა მას შეხვდეს.

საფრანგეთს სურს დაასუსტოს, როგორც ეკონომიურად ისე პოლიტიკურად, გერმანია. ხელში იგდოს გერმანიის მრეწველობა, შეინარჩუნოს რურის ოლქი და ერთი სიტყვით გახდეს სრული ბატონი ევროპაში.

ინგლისი კი სასტიკი წინააღმდეგია საფრანგეთის ზრახვების. წინააღმდეგ ამისა, ინგლისის იმპერიალიზმი სცდილობს ლაგამი ამოსდოს საფრანგეთის იმპერიალისტების მადა გასულობას. ინგლისს სრულიად არ სურს რომ თუ ერთ დროს მის ბატონობას ემუქრებოდა გერმანიის იმპერიალიზმი, დღეს ამ საშიშროების მოგვრელი იყოს საფრანგეთი. ამიტომ ინგლისი სცდილობს ეკონომიურად მოაღონიეროს გერმანია, რომელსაც ამერიკის და ინგლისის ბანკირები მისცემენ სესხს, რაც დიდ შემოსავალს მისცემს მათ.

მაგრამ ამერიკის და ინგლისის ბანკირები როგორ გასცემენ სესხს, თუ მათ არ ექნათ წინასწარი გარანტია. ეს გარანტია მდგომარეობს მასში, რომ საფრანგეთმა უნდა გაიყვანოს რურიდან თავისი ჯარები, მოხსნას აგრეთვე ეკონომიური ოკუპაცია და იმ შემთხვევაში თუ გერმანიამ დაარღვია ვალდებულებები, მისი დასჯის უფლება მიენიჭოს ამერიკის უმაღლესს კომისარს და ან ეს კითხვა გადაჭრილ იქნას ერთა ლიგის მიერ. ერთი სიტყვით ამერიკა და ინგლისი წინასწარ ამზადებენ ნიადაგს, რათა საფრანგეთს შეუკრან ხელ-ფეხი, რომ მან ვერ გაბედოს კვლავ ჯარების გადასროლა გერმანიაში და მით მისი ეკონომიურად შესუსტება.

ამ ხაზს იცავენ ლონდონში დღეს ინგლისისა და ამერიკის წარმომადგენლები. საფრანგეთი კი სრულ უარზე სდგას და ვერ ურიგდება იმ გარემოებას, რომ ის ძველებურათ ვერ ითარეშებს გერმანიაში.

თუ რამდენად მწვავედ სდგას ეს კითხვა მოკავშირეთა კონფერენციაზე, ამას მოწმობს საფრანგეთის წარმომადგენლის სასწრაფო გამგზავრება პარიზში წინასწარ მოსალაპარაკებლად დეპუტატთა პალატასთან, სანამ ის რაიმე გადაჭრილ პასუხს მისცემდეს ხსენებულ კითხვაზე კონფერენციას. მაგრამ მართლადაც წავა ასეთ დათმობაზე გაუმაძღარი საფრანგეთის იმპერიალიზმი? ძლიერ საეჭვოა. რაც შეეხება ამერიკისა და ინგლისის ბანკირებს, ისინი როგორც სჩანს მტკიცედ დგანან თავის პოზიციებზე და ერთი ნაბიჯითაც არ დაიხევენ უკან. ამიტომ, კონფერენცია განიცდის ერთგვარ კრიზისს, რომელიც ჯერ ჯერობით ძნელია თქმა რით დასრულდება.

მაგრამ ერთი კი ცხადია: იმპერიალისტების ინტერესები შეურიგებელია და ვერავითარი კონფერენცია და მოლაპარაკება ამ წინააღმდეგობას ვერ მოსპობს. მას ვერ უშველის ვერც მეორე ინტერნაციონალის მოღალატე ვაჟბატონები, მაკდონალდი, სნოუდენი, ვანდერველდე, ზევერინგი და სხვა.

იმპერიალიზმის ყოველ დავის, ქიშპობის და მისი მტაცებლური გეგმების მოსპობას, რომელიც ახალ სისხლის მღვრელ ომებით ემუქრება მშრომელ კაცობრიობას, შესძლებს მხოლოდ მსოფლიო სოციალისტური რევოლიუცია

—ე.

მოკავშირეთა კონფერენცია.

კონფერენციის პლენარულ სხდომაზე დიდი შედეგი იქნა მიღწეული.

მოხსენება წარმოადგინა მხოლოდ ერთმა კომისიამ, დანარჩენები კი განაგრძობენ ჯერ თავიანთ მუშაობას.

ბანკირებს, ფინანსთა მინისტრებსა და პრემიერებს შორის მოხდა რამოდენიმე თათბირი, გერმანიის მიერ ვალდებულების აუსრულებლობის, სანქციისა და გერმანიის სესხის გარანტიის შესახებ.

არავითარი დადებითი შედეგი ჯერ ჯერობით არ არის მიღწეული.

ამერიკის და ინგლისის ბანკირებმა უარყვეს ტენისის მიერ წარმოდგენილი მეორე დათმობაც.

ტენისის წინადადებაში გათვალისწინებული იყო კომისიის შედგენა ექსპერტთა კომისიის ხუთი წევრისაგან იმ მიზნით, რომ ამ კომისიას წარედგინა სარეპარაციო კომისიისათვის ისეთი სანქციები, როგორიც საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ გერმანია არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს.

ბინკირებმა უარყვეს ეს წინადადება და გადაჭრით მიუთითეს, რომ სარეპარაციო კომისია არ სარგებლობს არავითარი კრედიტითა და ნდობით მომავალ სესხის მეპატრონეთა შორის, და მაშასადამე მას არ შეიძლება მიენდოს ასეთი საყურადღებო საკითხის გიდაჭრა, როგორიც არის საკითხი გერმანიის მიერ ვალდებულების აუსრულებლობისა.

ლონდონში დარწმუნებული არიან, რომ გერმანია მიწვეულ იქნება კონფერენციაზე მომავალ კვირის ბოლო სიცხეებში, აგრეთვე ფიქრობენ, რომ კონფერენცია გაგრძელდება კიდევ ორი კვირაო.

ამერიკის ელჩი ბერლინში ხაუტონი, რომელიც ამ ჟამად ლონდონის კონფერენციაზე იმყოფება მეთვალყურედ, ამ დღეებში გაემგზავრება ბერლინში გერმანიის მთავრობასთან სათათბიროდ. შემდეგ ხაუტონი დაბრუნდება ლონდონში გერმანიის დელეგაციასთან ერთად, როგორც კი გერმანიის მთავრობას მიიწვევენ კონფერენციაზე!

მსოფლიო ომის ათი წლის თავზე.

რ. კ. პ. ც. კ. ცირკულიარი.

რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის ყველა საოლქო ბიუროებს, ეროვნულ კომპარტიების ცენტრალურ, რ.კ.პ. საოლქო და საგუბერნიო კომიტეტებს.

27 ივლისს სრულდება 10 წელიწადი მსოფლიო ომის დაწყების და 2-ე ინტერნაციონალის დამარცხების დღიდან. კომინტერნმა გამოაცხადა ახალ ომების საშიშროებასთან და მსოფლიო იმპერიალიზმის მოსამსახურე 2-ე ინტერნაციონალთან ბრძოლის საერთაშორისო კვირეული. ეს კვირეული უნდა დაიწყოს 27 ივლისს და დასრულდეს 4 აგვისტოს.

ამ კვირეულის განმავლობაში ცეკა წინადადებას აძლევს ყველა ორგანიზაციებს აწარმოვონ სიტყვიერი და წერილობითი აგიტაცია და განმარტონ ახალ იმპერიალისტურ ომების და განადგურების, ამ საშინელ და ჯერ არ ნახულ საშვალებათა მოახლოვებული საფრთხე, რომელსაც ეს ომები უმზადებენ კაცობრიობას ქიმიის დარგში ახალ აღმოჩენათა გამოყენებით და სხ.; განმარტონ 2-ე ინტერნაციონალის როლი წარსულ მსოფლიო ომში და მისი მზადება მუშათა კლასის ახალ ღალატისა და გამცემლობისათვის.

3 აგვისტოს ცეკა იძლევა წინადადებას გაიმართოს მასიური დემონსტრაციები შემდეგ მთავარი ლოზუნგებით:

„ძირს ხოცვა-ჟლეტის გამომწვევი კაპიტალისტები, მათი ლაქიები—შემთანხმებელნი, მენშევიკები და ესერები“.

„ძირს იმპერიალისტები, რომლებიც ამზადებენ ახალ ომებს, ძირს ომის ხელისშემწყობნი და წამქეზებელნი—შემთანხმებელნი სოციალ-დემოკრატები“.

„ძირს ყაჩაღური საზავო ხელშეკრულებანი, რომელნიც იმპერიალისტებმა თავზე მოახვიეს ხალხებს“.

„გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას—ერთად-ერთ გზას ახალ იმპერიალისტურ ომების თავიდან ასაცილებლად“.

„გაუმარჯოს კომუნისტურ ინტერნაციონალს—მშვიდობიანობისა და ხალხთა ძმობისათვის მებრძოლს“.

„ძირს ყვითელი ინტერნაციონალი“.

„დაუზოგველი ბრძოლა შემთანხმებელთა, საერთაშორისო კაპიტალის მოსამსახურეთა წინაღმდეგ“.

„საბჭოთა კავშირი—მშვიდობიანობის ციხე-სიმაგრე და მედროშეა“.

„თუ გსურს მშვიდობიანობა, გაამაგრე წითელი არმია“.

„საბჭოთა კავშირის თავდაცვა და განმტკიცება—დაიცავს მშრომელებს ახალ ომებისაგან“:

„არ გსურს ომი—განამტკიცე საბჭოთა კავშირი, მუშათა და გლეხთა კავშირი, გაადიდე შრომის ნაყოფიერება, გაამაგრე წითელი არმია“.

„კვირეულის“ განმავლობაში სასურველია გაიმართოს მიტინგები რომლებშიც მონაწილეობას მიიღებენ მუშათა ორგანიზაციები, კერძოთ, მუშა-ქალები, მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობა. სასურველია აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციების, ინტელიგენციის, მეცნიერების მუშაკთა და ინტერვენციის მსხვერპლთა დამხმარე საზოგადოების გამოსვლები. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიტინგების ჩატარებას სოფლად.

„კვირეულის განმავლობაში საჭიროა გაძლიერებული აგიტაციის წარმოება საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოებების სასარგებლოთ.

ამ კამპანიის ჩასატარებლად ცეკა წინადადებას იძლევა შედგენილ იქნას კომისია საგუბერნიო (საოლქო) კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების, პროფკავშირთა საგუბერნიო საბჭოს, წითელი არმიის სათანადო ნაწილის პოლიტ-ორგანოს, საგუბერნიო პოლიტ-განათლების სამართველოს, ქალთა განყოფილების და რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის საგუბერნიო კომიტეტის შემადგენლობით.

კამპანიის ჩატარების შესახებ გვაცნობეთ.

რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის მდივანი
ა. ანდრეევი.

11 ივლისი 1924 წ.

მოკავშირეთა კონფერენციის გარშემო.

პრესის გამოძახილი.

ლონდონის კონფერენციის შესახებ დიდი მითქმა მოთქმა არსებობს პრესაში.

„პტი ჟურნალი" ლაპარაკობს:

ლონდონის კონფერენციამდე არ გამომჟღავნებულა საფრანგეთის ზრახვები—ანგარიში გაუწიოს მოკავშირეთა შორის არსებულ სიძნელესა და საჭიროებას.

საფრანგეთის პრესა მთელის ძალღონით სცდილობს გაიგოს ბრიტანეთის მთავრობის და ბანკირების ყოველი სურვილი და თუ რაიმეს მოითხოვს—ეს არის მხოლოდ უფლებათა დაცვა, რომელიც მინიჭებული აქვს მას ვერსალის ხელშეკრულებით.

„ჟურნალი" აღნიშნავს, რომ კონფერენცია ამ ჟამად სდგას ერთ წერტილზე. საუკეთესო საშვალებად გაზეთი სთვლის მოთმინებას.

გაზეთის აზრით საფრანგეთის პოზიცია სრულიად აშკარაა.

სრულიად აშკარაა აგრეთვე, რომ ბანკირებს აქვთ უფლება ყოველგვარ ფინანსიურ გარანტიებისა, რა თქმა უნდა დასაშვებ ფარგლებში.

საფრანგეთი და საბჭოთა კავშირი

პარიზში მყოფი „მორნინგ პოსტი"-ს კორესპონდენტი იუწყება, რომ ერიოს განზრახული აქვს მოიწვიოს საფრანგეთ—რუსეთის კონფერენცია პარიზში, როგორც კი ლონდონის კონფერენცია დაამთავრებს თავის მუშაობას.

ამ კონფერენციის უმთავრესი საკითხი იქნება საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობა საფრანგეთის მიერ.

ამერიკის პრესის აზრი

ამერიკის გაზეთები ეხებიან ლონდონის კონფერენციას და აშკარად აღიარებენ, რომ ამერიკის ფინანსისტები, რომლებიც ამ ჟამად ლონდონში არიან, დიდ როლს ითამაშებენ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში.

კონსერვატიულ რესპუბლიკანთა ორგანო „ნიუ-იორკ- ივნინგ პოსტი„ ამბობს: „მსოფლიო ფინანსთა წარმომადგენლები, რომლებიც მომქმედ ძალას წარმოადგენენ საერთაშორისო საქმეებში, მოითხოვენ უფლებას წარმოადგინონ თავიანთი „რწმუნებების ბარათები."

ფინანსისტები—განაგრძობს გაზეთი—ყოველთვის განაგებდენ პოლიტიკურ საქმეებს, მაგრამ წინად მოქმედებდენ კულისებში, დღეს კი აშკარად გამოდიან კონფერენციის მუშაობაზე, ვინაიდან პოლიტიკოსები უძლურები გამოდგენ.

ერიო „მტკიცედ" სდგას.

საფრანგეთის პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ერიომ განაცხადა, რომ ის მტკიცედ დაიცავს საფრანგეთის პოლიტიკის პრინციპებს.

საბჭოთა ფედერაციაში

ფიზკულტურა.

ფიზიკური მომზადების საერთო დონეს ასაწევად და მშრომელთა მასებში ინტერესის გასაღვივებლად ფიზკულტურისადმი, საკავშირო სახკომსაბჭომ დააწესა ყოველ წლიური საზაფხულო სამხედრო სპორტიული შეჯიბრება არმიისა და ფლოტის ნაწილებში.

პირველი საკავშირო საერთაშორისო შეჯიბრება მოხდება მოსკოვში აგვისტოს ბოლო რიცხვებში წვევამდელებსა და რკინის გზელებს შორის.

სასარგებლო საქმისთვის.

„ეკოსო"-მ ნება დართო შაცკის მაზალმასკომს რიაზანის გუბერნიაში, მოახმაროს ვიშინის მონასტრის დახურულ ეკლესიის ზარები ელექტრო სადგურის მოწყობას.

კომინტერნისა და პროფინტერნის დელეგატების მოგზაურობა.

ნიჟნი-ნოვგოროდში და ლენინგრადში იმოგზაურეს პროფინტერნისა და კომინტერნის დელეგაციების წევრებმა.

ლენინგრადში, ფაბრიკა-„სავეტსკაია ზვეზდა"-ში დელეგატების მონაწილეობით გაიმართა მრავალ რიცხოვანი მიტინგები.

ახალგ. კომინტერნის კონგრესი.

კონგრესის საღამოს სხდომაზე მუშაობის ამოცანების შესახებ მოწინააღმდეგე ორგანიზაციებში, ამხ. ცეიტლინმა განაცხადა: ამ საკითხთან მისვლის დროს, მხედველობაში უნდა გვქონდეს ორი მომენტი: პოლიტიკური განვითარება ახალგაზრდათა კომინტერნის მასიურ ორგანიზაციების და კავშირის ბოლშევიზაცია.

არ შეიძლება შექმნილ იქნას ძლიერი კომუნისტური ორგანიზაცია, თუ არ ვაწარმოეთ სასტიკი ბრძოლა რეფორმისტულ კავშირების წინააღმდეგ.

ამხ თარხანოვი შეეხო ლენინიზმის პროპაგანდის საკითხს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ საკითხს ყველა სექციამ უნდა გაუწონ მაქსიმალური ყურადღება.

მაგრამ ლენინიზმი არ შეიძლება შესწავლილ იქნას წიგნებით, მისი შესწავლა უნდა სწარმოებდეს პრაქტიკულ მუშაობასთან შეერთებით.

ამ ნიადაგზე აგებულ უნდა იქნას აღმზრდელობითი მუშაობა.

პოლონეთი

სასტიკი რეჟიმი პოლონეთის ციხეებში

სეიმის თავმჯდომარემ რატაიმ უარი განაცხადა პოლონეთის დეპუტატის შეკითხვის მიღებაზე პოლიტიკურ პატიმართა ცემის შესახებ პოლონეთის ციხეებში.

შეკითხვაში აღწერილია პატიმართა საშინელი მდგომარეობა ლვოვის, კოველსკის, ლუცკის და როვნოს ციხეებში.

მოკოტოვის ციხეში (ვარშავაში) პოლიციამ სცემა პოლიტიკურ პატიმრებს, რომლებიც სცდილობდენ ხელი შეეშალათ ზოგიერთი ამხანაგების გადაყვანის დროს პროვინციალურ ციხეებში, სადაც გაცილებით ცუდი რეჟიმია, ვინემ ვარშავაში.

ამ უკანასკნელმა შემთხვევამ სხვებთან ერთად, გამოიწვია პოლიტიკურ პატიმართა შიმშილობა ვარშავის ცენტრალურ ციხეებში.

პროფკავშირთა წითელი ფრაქციის გამარჯვება

ფეიქართა კავშირის დელეგატების ყრილობაზე, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი უმუშევრობის შესახებ, დიდი უმეტესობით მიღებულ იქნა წითელ პროფკავშირთა რეზოლიუცია, რომელშიაც მოითხოვენ სრულიად პოლონეთის კონგრესის მოწვევას და მოძრაობის მუშათა ხელში ჩაგდებას. ეს გამოწვეულია პროფკავშირთა უმოქმედობით.

შემთანხმებელთა გააფთრებული სიძულვილი.

კომპარტიის აშკარა გამარჯვებამ, რომელიც მიღწეულ იქნა ლოძში, შეაშინა პეპეესოველები; უკანასკნელებმა გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელიც გაჟღენთილია სასტიკი სიძულვილით კომპარტიისადმი.

„ყოველი ხმა, რომელიც მიცემული იქნება კომუნისტების სასარგებლოდ ქალაქის საბჭოში, საავადმყოფო სალაროში და პროფკავშირებში---ნათქვამია მოწოდებაში-ხელს უწყობს ომს, სიღარიბეს და რეაქციას.

ყველა ის, ვინც მუშებთან მივა საბჭოთა პოლონეთის ლოზუნგით, ბოლშევიკების აგენტია.

რადიო ყოველ მხრიდან.

ჟორესის სახსოვრად

ჟორესის სახსოვრად გამართულ დღესასწაულზე, საფრანგეთის სოციალისტებმა 21 ივლისს, მიწვევის ბარათი გაუგზავნეს გერმანიის რეიხსტაგის ყოფილ თავმჯდომარე ლებეს, რომელმაც ეს მიწვევა მიიღო.

საჰაერო პოლიცია.

ნიუ-იორკში შემდგარ იქნა საჰაერო პოლიცია 16 ჰაეროპლანით. პოლიციამ უნდა იმსახუროს რეგულიარულად, თვალყური ადევნოს უბედურ შემთხვევებს და დაეხმაროს ადგილობრივ მოხელეებს კონტრაბანდასთან ბრძოლაში.

იტალია.

რომიდან მიღებულ ცნობით იტალიის ლიბერალურმა პრესამ შეადგინა თავდაცვის კომიტეტი ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მაკდონალდი.

ლონდონიდან მიღებულ ცნობით, მაკდონალდი წამოყენებულია კანდიდატად ნობელის პრემიის მისაღებად.

საბერძნეთი.

ათინიდან მიღებულ ცნობით კაბინეტი სდგება სოგულისის თავმჯდომარეობით.

საგარეო საქმეთა მინისტრი იქნება— რუსოვი, სამხედრო—კატეკატისო. კაბინეტის წარმოშობას პოლიტიკური წრეები კეთილ განწყობილებით შეხვდენ.

კაბინეტი წარუდგება ნაციონალურ კრებას 28 ივლისს.

ინდოეთი.

სიმლიდან მიღებულ ცნობით იქ დიდი წყალდიდობაა, რასაც დიდი ზარალი მოაქვს.

რატომ ხდება ადამიანი ავად

(წითელ არმიელებისათვის).

საკვირველი რამ არის! კაცი კარგად გრძნობს თავს, დადის, ჭამს, სვამს და ერთ მშვენიერ დღეს, და თუ გნებავთ, წუთს შეამცივნებს, მისცემს სიცხეს, ატკივდება მთელი სხეული და ლოგინად ჩაწვება.

რა არის მიზეზი, რომ ადამიანი ავად ხდება?

სოფლად, რასაკვირველია, ბევრი გაგიგონიათ უსწავლელ ხალხიდან, რომ ეს ბედის წერააო. ან კიდევ ამაზე უარესი: ღმერთის საქმეაო.

ჩვენ ეხლა სოფლად აღარა ვართ. ჩვენს მშობლებს იმედი აქვთ ჯარში ყოფნის დროს ცოტა რამეს შევისწავლით და ისე დავბრუნდებით შინ.

ამიტომ, სირცხვილი იქნება შინ დაბრუნებისას ჩვენც ასეთი ცრუ წარმოდგენა გვქონდეს. სხვა რომ არა იყოს რა, დაგვცინებენ.

„რაფერიც წავიდა, იმფერი მოვიდაო".

აი სწორეთ ასე რომ არ დაგვემართოს ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ავადმყოფობას ღმერთი და ბედი კი არაჩენს, არამედ პატარა, თვალით დაუნახავი არსებანი, მიკროორგანიზმები.

ჩვენ ერთ წერილში, სადაც ვენერიულ ავადმყოფობას შევეხეთ, გაკვრით ვსთქვით, თუ რატომ უწოდებენ მათ მიკროორგანიზმებს, სახელდობრ იმიტომ, რომ ეს სხეულები არიან იმდენად პატარა რომ მათი დანახვა შეუიარაღებელი თვალით შეუძლებელია.

ვსთქვით ისიც, რომ მათი დანახვა შეიძლება განსაკუთრებული ხელსაწყოთი-მიკროსკოპით.

ეს ხელსაწყო ისეა მოწყობილი შუშებით, რომ საგანს ძალიან ადიდებს. ადიდებს იმდენად, რომ თვალით უჩინარის დანახვა ადვილად შეიძლება.

აი ამ ხელსაწყოს და სხვა და სხვა საღებავის საშუალებით, აღმოჩენილია დღეს თითქმის ყველა ავათმყოფობის გამომწვევი მიკროორგანიზმი.

ერთი სიტყვით ჩვენ ეხლა ვიცით ავათმყოფობის გამომწვევი მიზეზი.

საჭიროა ეხლა ვიცოდეთ, რანაირად და რა გზით იწვევს ის ავათმყოფობას. საქმე ის არის, რომ ეს ავათმყოფობის გამომწვევი მიკროორგანიზმები ბუნებაში ცხოვრობენ. მრავალია ის იმ მტვერში, რომელსაც ჩვენ ჰაერთან ერთად მუდამ დღე ვყლაპავთ.

შეიძლება იკითხოთ თუ იგი მრავალია ჩვენს მიერ შესუნთქულ ჰაერში, მაშინ რატომ ყველა არა ვართ ავადო.

ავად არა ვართ იმიტომ, რომ მარტო მიკროორგანიზმის ყოფნა არ არის საკმარისი. საჭიროა მის გამრავლება. გამრავლება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ ადამიანმა თვით შეუწყო ხელი მას.

პირველ ყოვლისა ეს გამოიხატება ბინძურ ცხოვრებაში. შემდეგ კიდევ სიღარიბეზედაც ბევრი ჰკიდია.

თუ კაცი ცუდად იკვებება, მას ავათმყოფობა, როგორც სუსტს, ადვილად დასცემს, ადვილად მოერევა.

შეიძლება კაცი მდიდარი იყოს, კარგად სჭამდეს და სვამდეს, მაგრამ გარყვნილ ცხოვრებას ატარებდეს, მასაც ადვილად დასცემს ავათმყოფობა.

იმ შემთხვევაში, თუ რომ ადამიანი სისუფთავეს იცავს, ცხოვრების პირობებიც კარგი აქვს, ის იშვიათად შეიქმნება მსხვერპლი ავათმყოფობისა; ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს კარგი პირობები სხვა და სხვა სენის გამომწვევ მიზეზებთან საბრძოლველად. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს გულზე ხელები დავიკრიფოთ.

ეს გარემოება ერთი-ორჯერ უფრო გამამაცებას მოითხოვს.

სისუფთავის დაცვას უნდა ქონდეს მიქცეული დიდი ყურადღება.

სხეულში მიკროორგანიზმი შეიჭრება სხვა და სხვა გზით. ყველას, რასაკვირველია, ერთი გზით გავრცელება არ შეუძლია. ზოგი კანიდან შედის, ზოგი ცხვირიდან, ზოგი პირიდან და სხვა.

ზევით ჩვენ ვსთქვით, რომ მიკროორგანიზმისათვის მარტო შეჭრა არ კმარა.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ადამიანს აღმოაჩნდება ამა თუ იმ ავადმყოფობის მიზეზი, მაგრამ ავათ კი არ გახდება. არ გახდება იმიტომ, რომ იგი მშვიდობიანი გზით მოიშორებს ამ მიზეზს.

იმ შემთხვევაში კი, როდესაც მიკროორგანიზმს გამრავლება და შხამის გამოყოფა შეუძლია, იწყება ადამიანსა და მის შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ომი. ვისაც უფრო მეტი ჯანი ექნება ის სძლევს.

თუ როგორ სწარმოებს ეს ომი, ამაზე შემდეგ წერილში.

პ. ბ—ძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი წითელი ჯარი

საჰაერო ფლოტის დღე ჩვენთან.

19 ივლისს, მეხუთე ლეგიონში გაფაციცებული მუშაობა სწარმოებდა:

უფ-პოლიტ-შემადგენლობა და წითელ არმიელები ასუფთავებდენ ახლად მოწყობილ საჰაერო ფლოტის კარავის წინ მდებარე ადგილებს, კლუბის თანამშრომლებს მოჰქონდა პლაკატები, ლოზუნგები და სურათები.

საღამოს საჰაერო ფლოტის კარავი უკვე მზად იყო.

მოეწყო შესაფერი წიგნების გამოფენა და სრულ 7 საათზე შესდგა უფ-პოლიტშემადგენლობის და წითელ არმიელთა საერთო საზეიმო კრება, რომელიც საინიციატივო კომისიის სახელით გახსნილად გამოაცხადა ამხ. გიორგობიანმა. წითელ საჰაერო ფლოტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. მამარდაშვილმა.

მან გააშუქა თვითმფრინავების წარმოშობის ისტორია და დაუსურათა კრებას საჰაერო ფლოტის როლი და მნიშვნელობა იმპერიალისტურ ომის დროს. მოიყვანა სტატისტიკური ცნობები ბურჟუაზიულ სახელმწიფოების საჰაერო ძალებზე.

და აქედან დაასკვნა წითელ საჰაერო ფლოტის გაძლიერების აუცილებლობა.

მოუწოდა ყველას გახდენ საჰაერო ფლოტის უჯრედის წევრებად და შეიტანონ თავისი წვლილი ამ დიად საქმეში.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, სადაც ფიცსა სდებს ყოველი ლონისძიება იხმარონ საჰაერო ფლოტის გაძლიერებისათვის.

კრების დახურვის შემდეგ დაიწყო ფლოტის მსურველთა უჯრედში წევრებად ჩაწერა.

უნდა აღვნიშნო, რომ საჰაერო ფლოტის კარავის მოწყობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა უფ შემადგენლობა. განსაკუთრებით მადლობის ღირსნი არიან ამხ. ჯაფარიძე, გიორგობიანი, რომელთა ინიციატორობით გაკეთდა ეს დიადი საქმე.

დეზები.

საბანაკო კლუბში.

1-ლ ქარ. ლეგიონის კლუბში დაახლოვებით ერთ თვეზე მეტია, რაც მუშაობა მინელდა. ამას თავის მიზეზები ჰქონდა.

ჯერ ერთი, ხელი შეგვიშალა ბანაკში გასვლამ და მეორეც იქ კლუბის აგება იყო საჭირო.

ეხლა ყველაფერი მოგვარდა და დაიდგა პირველი წარმოდგენაც „იასონის ოინები“.

პიესამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა წითელ-მოლაშქრეებზე. განსაკუთრებულ ყურადღებას ამ საღამოზე იპყრობდა ვ. სიხარულიძე— ივანეს როლში.

ბოლოს გაიმართა კონცერტი:— განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრეს: ამხ. ჯაფარიძემ და პატარა ყმაწვილმა — წულუკიძემ, რომელმაც წაიკითხა რამოდენიმე რევოლიუციონური ლექსი.

წითელ არმიელებმა იგი მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს.

საერთოდ საღამომ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა და წით. არმიელები ნასიამოვნები დაიშალენ.

გ. შალამბერიძე.

ჩვენი მუშაობა.

(პირველი ლეგიონის ცხოვრებიდან)

საგუშაგოზე დგომის მოვალეობათა შესაჩვევათ და მიღებულ ცოდნის განსამტკიცებლათ, ჩვენი ბანაკის მიდამოებში მოეწყო მთელი რიგი საგუშაგოებისა.

დანიშნულ იქნენ გამრინებელნიც და ყარაულის უფროსებიც.

სდგას ახალ წვეული წითელი მოლაშქრე უძრავად გამართული და გუშაგობს.

მეთაურები თუ ყარაულის უფროსები ახლოდან უთვალთვალებენ და შეცდომებს უსწორებენ.

ნაწილი წითელ მოლაშქრეებისა გაყვანილია მიშორებით გორაკთან და სროლაში ვარჯიშობენ. დროგამოშვებით მოისმის თოფის ხმა...

გუშაგები კი დგანან და სცდილობენ ნაკლები შენიშვნები მიიღონ.

სხვა და სხვა მომუშავეები ხან და ხან გაივლიან საქმის გამო. საგუშაგოების არსებობა მინდვრად არავინ არ იცის და განსაკუთრებით კი ახლებმა. მიდიან ჩვეულებრივათ, თავისუფლათ და უკებ წააწყდებიან საგუშაგოს.

„გაჩერდი, ამხანაგო“, „ხელები ზევით“!!

მოისმის სხვა და სხვა წინადადებები.

ზოგმა იცის საქმის ვითარება. მათ მხიარული ღიმილი გადაკრავთ სახეზე და მოთმინებით, უსიტყვოთ ჩერდებიან. უცდიან ყარაულის უფროსის ან გამრინებელის მოსვლას, რომ დაშვების ნებართვა მიიღოს. ზოგს, სამხედრო საქმის უცოდინარს ან ნაკლებ მცოდნეს, ეჩოთირებათ ასეთი წინადადებები, შეჩერებას არ კადრულობს და გზას აგრძელებს, თან გაურედავათ აკანკალებული ტუჩებით ხმაჩაწყვეტილი ბუტბუტებს:

„რა გინდა კაცო, საქმეზე მივდივარ“.

რა თქმა უნდა კონფლიქტს მალე ბოლო ეღება და მას ნებას აძლევენ გაიაროს.

წითელ მოლაშქრეთაგან ბევრი მართლა ძალიან მალე ითვისებს ამ წესებს და პირველადვე კარგი გუშაგის შთაბეჭდილებას სტოვებს. ზოგი კი უფრო მოისუსტებს, მოვალეობებში ვერ ერკვევა ან სითამამე არ ყოფნის. საერთოდ კი შეთვისების უნარიანობა დამაკმაყოფილებელია.

ნელ--ნელა, თანდათან უფრო მომატებული ჯგუფებით დაიწყეს ჩვენი ლეგიონიდან გარნიზონის სამსახურში ყარაულის გაყვანა. 20 ივლისს კი მთელი ათასეული გაჭიმული რიგებით-ყოველ გვარი მარაგით გაემგზავრა გარნიზონში.

ამ პირველ მასიურ ცდას იმედია გაამართლებენ ჩვენი ახალ წვეულები და თავის ცოდნით და სიმამაცით ასახელებენ ჩვენს პირველ ლეგიონს.

ე. ძ—ია

როგორ უნდა მუშაობდენ სამხედრო დრამწრეები სოფლად.

ჩვენი ბანაკი და მისი ახლო მახლო მდებარე ადგილები სავსეა ქ. წითელ ლაშქრის მსროლელ და ტერიტორიალურ დივიზიის ნაწილებით, აგრეთვე აქ მრავლად არიან რუსის და სომხეთ—აზერბეიჯანის ჯარის ნაწილებიც.

კულტურული მუშაობა ძლიერ კარგად არის დაყენებული ყველა ნაწილებში, ხოლო ბანაკი და ზოგიერთ ნაწილის დრამწრის ხელმძღვანელები ვერ დგანან თავიანთ დონეზე.

დრამწრის მუშაობა მარტო პიესის „ჩახლართულებაში“ არ უნდა გამოიხატებოდეს. ყოველ წევრს უნდა ესმოდეს არა მარტო ის, რასაც მოკარნახე ჩურჩულობს, არამედ ის, რასაც ემსახურება.

საჭიროა წარმოდგენის წინ გაკეთებულ იქნეს მოხსენებები თეატრზე და ხელოვნებაზე, მათ წარმოშობა განვითარებაზე, პიესის შინაარსზე და სხვა.

ამასთანავე უნდა იცოდენ, რომ სოფელი ღარიბია. არც ერთი ფასიანი წარმოდგენა სოფელში არ უნდა იდგმებოდეს, ხოლო უფასო კი ხშირათ. მხოლოთ ამ გზით შეიძლება კულტურული სამსახური გაუწიოთ სოფლის მუშებს.

ე. ც.

ლენინის კუთხე.

უნცროს მეთაურთა სკოლის ბანაკში მოწყობილია ლენინის წითელი კუთხე. აღსანიშნავია ის თავდადება, რომელიც გამოიჩინეს აღნიშნულ კუთხ-ს მოწყობაში კურსანტებმა და ზოგიერთმა მეთაურებმა.

პირველად ყოვლისა საჭირო იყო კუთხე უზრუნველ გვეყო ნაწვიმარი წყლის ჩასვლისაგან, რადგან კუთხე ჩვეულებრივ საბანაკო კარავშია მოთავსებული. ეს საქმე ჩინებულად შეასრულა მეთაურმა მაღალაშვილმა.

მანვე თავს იდვა კარავის წინ პატარა ბაღის მოწყობა.

ბაღი დაყოფილია ლამაზ გეომეტრიულ ფიგურებად. დათესილია შიგ ჯეჯილი.

მაგრამ ამხანაგების ზრუნვა ამით არ გათავებულა.

საჭირო იყო კუთხისთვის ლიტერატურა, რომლის შეძენის მიზნით ამხანაგებმა ჯამაგირიდან გაიღეს სათანადო წვლილი.

მესამე ასეულის ლენინის კუთხის მმართველი კომისია, ასეულის სახით მადლობას უცხადებს ყველა ამ ამხანაგებს და მოუწოდებს სხვებსაც მიბაძონ მათ მაგალითს.

კომისიის დავალებით: **შ. თელია.**

პარტიული ცხოვრება.

პარტიული მუშაობა კურსანტებში.

პარასკევს, 18 ივლისს, შესდგა უფროს მეთაურთა სკოლის უჯრედის ღია კრება. კრებას დაესწრო მთელი შემადგენლობა და უპარტიო მეთაურები.

დღის წესრიგში ძლიერ საინტერესო საკითხები იყო:

ნაციონალური საკითხი.

მოხსენება კომინტერნის მეხუთე კონგრესის შესახებ.

პარტიაში მიღების შესახებ განცხადებები და სხვა მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე კოლექტიური მოხსენება გააკეთეს ოთხმა უფროსი კურსის კურსანტებმა. მომხსენებლები შეეხენ ნაციონალურ საკითხს ნიკოლოზის და მენშევიკების დროს და აღნიშნეს საბჭოთა მთავრობის ბრძნული პოლიტიკა ნაციონალური საკითხის გადაჭრის დროს.

საერთოდ მოხსენება დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა და შესაფერისი რეზოლიუციაც იქნა მიღებული.

მეორე საკითხზე მოხსენებით გამოვიდა სკოლის უფროსი ამხ. ი. ტალახაძე.—ის პირადათ დასწრებია, კომინტერნის მეხუთე კონგრესის გახსნას. მან გადაგვიშალა კონგრესის გახსნის სურათი და მისი დიადი მნიშვნელობა მსოფლიო მასშტაბით. აღნიშნა კომინტერნის თანდათანობითი გაფართოვება და მისი მიღწევები, შემდეგ კი შეეხო ამხ. ზინოვიევის მოხსენებას.

მოხსენებამ ერთობ დააინტერესა კურსანტები, რაც აშკარად სჩანდა აუარება შეკითხვებიდან.

ბოლოს გაირჩა ყოფილი მეთაურების ამხ. გალოვნიანისა და გველესიანის განცხადებები პარტიაში კანდიდატებათ მიღების შესახებ.

კომუჯრედმა ხანგრძლივი მსჯელობის შემდეგ დააკმაყოფილა ამხ. გელოვნიანის განცხადება, ხოლო გველესიანს ჯერ-ჯერობით, მანამ კარგად გამოირკვევოდეს წარსული, უარი ეთქვა.

პარტკორი: **ჭკადუა.**

რაზედ გვწერენ

დაუშვებელი გულგრილობა.

ჩვენი ლეგიონი ივლისის პირველ რიცხვებიდან გავიდა საბანაკოდ. საყარაულო სამსახურისათვის დატოვებულია ადგილზე მეოთხე ასეული.

ასეულში არმიელების უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი არიან, მაგრამ დიდი მუშაობა სწარმოებს ამ მიმართულებით და მოლაშქრეებიც გულმოდგინეთ ეკიდებიან წერა-კითხვის შესწავლის საქმეს.

პოლიტიკური და სხვა კულტურული ხასიათის მუშაობაც კარგად არის დაყენებული, მხოლოდ ძლიერ გვაწუხებს ერთი რამ.

ლეგიონის საბანაკოდ გასვლის შემდეგ ადგილობრივი ბიბლიოთეკის გამგეთ დატოვებული იქნა ამხ. ჯღანჯღავა, რომელიც ერთობ გულგრილად ეკიდება დავალებულ საქმეს.

ბიბლიოთეკა თითქმის ყოველთვის დაკეტილია. მოკლებული ვართ საშვალებას წავიკითხოთ წიგნები და და ჟურნალ გაზეთები.

ჩვენი პოლიტ ხელი სანაპირო არტელის მუშაკთა კომუჯრედიდან გვიზიდავს ჟურნალ გაზეთებს. რად უნდა ვსთხოვდეთ სხვას გაზეთებს და წიგნებს, როდესაც ჩვენ თვითონ მოგვეპოება ასეთი?

საჭიროა ყურადღება მიექცეს ამ მოვლენას ვისგანაც ჯერ არს და ბიბგამგეს ხელი ააღებიონ სიზარმაცეზე.

რაინ ბანიძე.

დეზერტირობის გამომწვევი მიზეზები და მასთან ბრძოლის საშუალებები.

წინა წერილებში მე აღვნიშნე ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის ზოგიერთი ორგანოები.

დანარჩენ ორგანოებს მე შევეხები შემდეგში, ხოლო მანამდი განვიხილავ ჯარში გავრცელებულ ბოროტმოქმედების ზოგიერთ სახეებს.

ყველაზე სპეციფიური ბოროტმოქმედება, რომელსაც ადგილი აქვს ჯარში, არის დეზერტირობა. დეზერტირობა იცის ყველა დროისა და ქვეყნის ჯარმა. იგი ყოველთვის იდევნებოდა და ისჯებოდა კანონის მიერ. იგი ზოგან მასიურ ხასიათს ღებულობს და მას შეუძლია ჯარი განადგურების პირამდი მიიყვანოს, ზოგან-კი იშვიათ მოვლენათ იქცევა და ჯარის მთლიანობას ვერაფერს აკლებს, ხოლო მის წინაამდეგ დამსჯელი ზომები ამ შემთხვევაშიც მოქმედობს, რათა არ დაუშვან ამ დანაშაულის გამრყვნელი მოქმედება ჯარის შეუგნებელ და უდისციპლინო ნაწილებში.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველთვის ერთნაირი არ არის დეზერტირობის გამომწვევი მიზეზები. ხშირათ რომელიმე ჯარში, პოლიტიკური პირობები ისეთ მასსიურ ხასიათს აძლევენ დეზერტირობას, რომ მას ვერ შეაჩერებ ვერავითარ დამსჯელი ზომებით. მაგ., ასეთი იყო დეზერტირობა რევოლიუციის წინა ხანებში რუსეთის ჯარში, ასეთივე ხასიათი ქონდა დეზერტირობას მენშევიკების ჯარში ტფილისიდან გაქცევის დროს და სხვა.

რა ხასიათისაა დეზერტირობა ქართულ წითელ ჯარში და რა მიზეზები იწვევენ მას?

აქ არავითარი ლაპარაკი ამ დანაშაულის მასიურ ხასიათზე არ შეიძლება. ხოლო უნდა აღინიშნოს, რომ წასულ წელში უფრო ხშირი მოვლენა იყო ჩვენს ნაწილებში დეზერტირობა, წელს საგრძნობლათ დაიკლო დეზერტირთა რიცხვმა, მიუხედავათ ამისა, რამდენათაც ვიცი, შემჩნეულია, რომ ჩვენს ნაწილებში უფრო ხშირი მოვლენაა ეს დანაშაული,

ვიდრე რუსული ჯარის ნაწილებში. რით აიხსნება ეს? ერთ-ერთი მიზეზი ამისა უთუოთ არის გეოგრაფიული პირობები. ჩვენი ჯარის კაცი, რომელმაც რამოდენიმე ვერსი უნდა გაიაროს, რომ თავის სახლში ამოყოს თავი, უფრო ადვილათ ბრიყვდება და მიდის იმ იმედით, რომ რამოდენიმე დღეში დაბრუნდება, ვიდრე ის რუსი ჯარის კაცი, რომელმაც რამოდენიმე გუბერნია უნდა გადალახოს, რომ თავის ოჯახის საფარს მიაღწიოს.

მეორე მიზეზი, მე ვფიქრობ, უნდა იყოს ჩვენი ჯარის მდევნელი და დამსჯელი ორგანოების სისუსტე შედარებით რუსული ჯარის დამსჯელ ორგანოებთან, რომლებსაც უფრო დიდი ხნის ისტორია აქვთ და უკვე მოასწრენ ამ აპარატების შესაფერათ მოწესრიგება. რამდენათაც ჩვენი დამსჯელი ორგანოები ეწყობა და მკვიდრ ნიადაგზე დგება, იმდენათ დეზერტირობა თანდათან იშვიათ მოვლენის ხასიათს ღებულობს ჩვენს ჯარშიც.

მე მინდა აქ აღვნიშნო კიდევ ერთი მიზეზი ამ მოვლენისა, რაზეც შესაძლოა ბევრი არ დამეთანხმოს. ამ შემთხვევაში უთუოთ მელავნდება ერთი თვისება ჩვენი ჯარის კაცისა, გლეხისა, როგორც ქართველისა. ეს არის მათი უდისციპლინობა საერთოთ, გაუწვრთნელობა. უდისციპლინობა არის ჩვენი ნაციონალური სენი, რომელიც თავს იჩენს ყველგან, ყოველ დაწესებულებაში; ეს არის უკულტურობის და ექსტენსიური, ჩამორჩენილი მეურნეობის აუცილებელი შედეგი. მართალია რუსის გლეხი არ არის 'კულტურულათ წინ წასული ჩვენსაზე, მაგრამ რევოლიუციის და სამოქალაქო ომის რამდენიმე წლის ქარცეცხლმა საკმაოთ გაწვრთნა რუსის მოქალაქე და წითელი არმიაც და მიაჩვია იგინი რკინის დისციპლინას.

აქედან, ამ მიზეზების მოკლე ალნუსხვიდან უკვე სჩანს, როგორ უნდა ვებრძოლოთ ამ ბოროტმოქმედებას ჩვენს ჯარში. ჩვენმა დამსჯელმა ორგანოებმა უნდა გაამახვილონ ყურადღება, გამოიჩინონ მეტი ენერგია და ორგანიზაციული უნარი ამ ბოროტმოქმედებასთან ბრძოლის ნაყოფიერებისათვის. აქ ყველაფერი დამოკიდებულია მოქმედების სისწრაფეზე და რეპრესიულ ზომების შერჩევაზე: დეზერტირი ვერ უნდა ახერხებდეს დიდხანს დამალვას და აღმოჩენის შემდეგ მისი გასამართლება არ უნდა გვიანდებოდეს; წინასწარი გამოძიება და საქმის წარმოების სხვა სტადიები ან სრულიად არ არის საჭირო ან ძლიერ შემოკლებული უნდა იქნას; ვერც ერთი დეზერტირი ვერ უნდა ახერხებდეს დაუსჯელათ თავის დახწევას. ეს ზომები საკმაო იქნება იმისათვის, რომ ეს დანაშაული უმნიშვნელო მინიმუმამდე დავიყვანოთ.

გარდა ამისა, ჯარის ადმინისტრაციამ უნდა გააცხოველოს მუშაობა ჩვენი გაუწვრთნელ ჯარის კაცის მიერ სამსახურის დისციპლინის შესათვისებლათ და პოლიტგანყოფილებამ კი მისი შეგნების გასაფართოებლათ და გონების დისციპლინის ასაწევათ.

ეს ზომები მე დარწმუნებული ვარ შექმნიან ისეთ პირობებს წითელ ჯარში, რომ დეზერტირობა შეუძლებელიც იქნება და სასირცხოც ყოველი ჯარის კაცისათვის.

ი. ლორთქიფანიძე.

როგორ მოვეწყვეთ ბანაკში.

ბანაკად გასვლა წელს ცხენოსან ლეგიონისათვის პირველია.

წარსულ ზაფხულს თუმცა ახლად მოსულები ვიყავით ჩვენ წითელ არმიის რიგებში, მაგრამ მაინც ვიცოდით თუ რას წარმოადგენდა იგი. შარშანდელ ზაფხულს გულნაკლულად ვიყავით. ეხლა კი აგვინაზღაურდა გასულ წელს სიცხეებში გატარება.

წელს ჩვენი ლეგიონის ბანაკი მეტად მიმზიდველ სურათს წარმოადგენს. ჰაერი საამო, წყალი მშვენიერი. კარვების დადგმა უკვე მოთავდა.

მაგრამ, სამწუხაროდ, კარვების ტილოები ძალიან ძველებია. თითქმის არც ერთი წითელ არმიელის სადგომი კარავი არ გამოდგება წვიმის დროს. მეთაურების (პოლიტ და უფშემადგენლობის) კარვები კი ახლებია, ყველაფერი რიგზედაა.

მოეწყო კლუბი, სამკითხველო, სასადილო და სხვა, რაიც აუცილებელია.

წ. მოლაშქრეებს ოთხ საათიდან საღამოს 9 საათამდე ამაცადინებენ ცხენებზე. სამეცადინოთ კი 6 ვერსის მანძილზედ უხდებათ ყოველ დღიურად სიარული. გზებში აუარება ქვები ყრია, რაიც ძლიერ აფერხებს ჩვენს საქმიანობას. მაგრამ წ. არმიელები მაინც ხალისიანად ეკიდებიან საქმეს.

კლდის ნაგლეჯიძე.

ახალი ამბები.

— **პური ამიერ-კავკასიისთვის.** სახელმწიფო ბანკის სახელზე ჩრდილო კავკასიიდან იგზავნება რამოდენიმე პარტია პურისა: ტფილისისათვის, განჯისთვის და ლენინკანისთვის.

— **მსოფლიო ომის ათი წლის თავი.** პროფკავშირთა საბჭომ გადასწვიტა ჩაატაროს კომპანია ომის გამოცხადების ათი წლის თავზე.

— **ტელეფონი სოფლათ.** ახალციხის მაზრაში მოეწყო ტელეფონის ქსელი ყველა სოფლებთან.

— **სიმინდის გატანა საზღვარ გარეთ.** აჭარის სახკომსაბჭომ დაავალა „პურის ექსპორტს“ გაიტანოს აჭარიდან საზღვარ გარედ გასანაღდებლად 40.000 ფუთი სიმინდი.

— **სამოსახლოების დირიგება გორში.** აპრილის, მაისის და ივნისის განმავლობაში, სამალმასკომმა დაარიგა: ქალაქის ფარგლებში 10 სამოსახლო, ქალაქს გარეშე 305, სადგურის რაიონში 42.

— **ფეხსაცმელების დარიგება გლეხებისთვის.** გორის სახარაზო სახელოსნომ დაამზადა 1282 წყვილი ჩუსტი და 234 წყვ. ქალამანი, რომლებიც უკვე გასაღდენ გლეხობაში ხელმისაწვდენ ფასებში.

— **ქიათურის მუშათა კოოპერატივი.** ქიათურის მუშათა კოოპერატივში კოოპერატივების გაძლიერების კომპანიის ჩატარების შემდეგ ჩაეწერა 5.675 მუშა.

— **ახალი ავტომობილები.** იტალიიდან უკვე მიღეს 65 ცალი ახალი ავტომობილი, რომლებიც გამოყენებულ იქნებიან მაზრების საჭიროებისთვის.

— **ნავთის აუზების გადაცემა.** აჭარის სახ. კომ. საბჭომ დაადგინა: აჭარაში არსებული ნავთის აუზები გადასცეს ნავთის სინდიკატს.

— **ბაღების დამუშავება.** ახალქალაქის სამაზრო გლეხკომმა აიღო რამოდონიმე ბაღი, რომელნიც დასამუშაველად გადასცა გლეხთა კომუნებს.

— **დახმარება მაზრებს.** ჯანმრთელობის კომისარიატის განკარგულებაში გადაცემულია 5,000 მ. ნ. მაზრებში არსებულ საექიმო პუნქტებისათვის დახმარების გასაწევათ.

— **მეთამბაქოეთა ამხანაგობა** „შველა“ აერთიანებს 700 მეთამბაქოეს.

— **ახალი კინო-დასი.** კოტე მარჯანიშვილი ტფილისში აწყობს ახალ კინო-დასს, რომელიც დაიწყებს კინო სურათების გადაღებას.

ფიზკულტურა და ტექნიკა

ცხოველების „გაახალგაზრდავება“.

რუსეთის ს. ს. რესპუბლიკების კავშირში მოახდინეს ცხოველთა გაახალგაზრდავების რამოდენიმე ცდა. ცდები მეტად დამაკმაყოფილებელი შეიქნა.

მაგალითად, ქ. ტვერში (რუსეთში), ამ რამოდენიმე ხნის წინად სცადეს 18 წლის მეტად დაბერებულ და მისუსტებულ ცხენის გაახალგაზრდავება.

ცხენი გამოუსადეგარი იყო უბრალო და მსუბუქი სამუშაოსთვისაც კი. მისუსტებული, დაძაბუნებული და სიკვდილის პირზე მიმდგარი ცხენი, —ოპერაციის გაკეთებიდან მეხუთე დღეზე გამოიყურებოდა უფრო ცოცხლად და საღად. ჭამის მადა საგრძნობლად გამოუკეთდა.

20 დღეში ცხენმა მოიმატა ათი გირვანქა, ხოლო 45 დღის შემდეგ ოპერაციის გაკეთებიდან აღნიშნული ცხენი, ისე გამოიყურებოდა, როგორც ახალგაზრდა და საკმაოდ ღონიერი ცხოველი.

თავი ეჭირა მაღლა, ფეხებს წესიერად ხმარობდა და საზოგადოდ ყოველმხრივად გამოკეთდა.

ქ. ტვერის ახლო რაიონების სოფლების მეურნეები ძლიერ დაინტერესდენ ამ ცდით, რადგან ერთი და იგივე ძალის რამდენიმეჯერ გამოყენება ძლიერ მიმზიდველია და ამ მხრივ ცხადია, სოფლის მეურნეების დაინტერესება ამ „გაახალგაზრდავებით“.

როგორც გადმოგვცემენ —ჯერ თუმცა დანამდვილებით არ ვიცით, თუ რამდენად შეეფერება ეს სიმართლეს —მაგრამ მაინც ვაქვეყნებთ— ასეთ ცდას ადგილი ჰქონია აგრეთვე ქართულ პირველ ლეგიონში.

აქაც ასევე გაუახალგაზრდავებიათ შრომისთვის სრულიად უვარგისი და ძალზე მოხუცებული ცხენი.

ვეყრდნობით ამხ. ს. ლომიძის ცნობას.

პირველი ცდა-

საქართველოში არას დროს არ გაკეთებულა ტურბინა. პირველი ცდა 1923 წ. მოხდა.

მხოლოდ შარშან 1-ლ საბჭოთა მექანიკურმა ქარხანამ შესძლო ამ ცდის ღირსეულად დაგვირგვინება. მან დაამზადა 100 ძალიანი ფრენზისის სისტემის ტურბინა—ჩათახის ქარხნისათვის.

როგორც იტყობინებიან აღნიშნული ტურბინა განუწყვეტლივ მუშაობს და ჯერ-ჯერობით ოდნავი ნაკლიც არ აღმოჩენია. ამნაირად დიდი ტურბინის დამზადების პირველი ცდა დიდებულად დაგვირგვინდა ჩვენში. ტურბინა არა თუ ჩამოუვარდება საზღვარ გარეთის საუკეთესო სისტემის და ფირმის ტურბინებს, არამედ ზოგიერთ შემთხვევაში კიდევაც სჯობია მათ.

ტურბინა ხასიათდება სიმარტივით, ადვილი მოსახმარისობით და დიდი გამძლეობით.

საერთაშორისო ომის ათი წლის თავზე.*)

(გაგრძელება).

წინა წერილებში ჩვენ მოვიყვანეთ ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ჯარის კაცი იყო გაწვეული მეომარ სახელმწიფოების მიერ ბრძოლის ველზე, რამდენი იყო მოკლული, დასახიჩრებული და ტყვეთ წაყვანილი. ამ წერილში შევეხებით, თუ რა დაუჯდა ყოველ მეომარ სახელმწიფოს ომის წარმოება ოთხი წლის განმავლობაში.

ომის მიერ გამოწვეულ ხარჯების რაოდენობა.

ანტანტა.

	ოქრ. ს მანეთი.
რუსეთი . .	45.200.000.000.
საფრანგეთი .	51.000.000.000.
ინგლისი . .	97.100 000 000
იტალია . .	24,600.000.000.
ბელგია . .	2.300000.000.
რუმინია . .	3.200.000.000.
სერბია . . .	800..000.000.
ამერიკა , .	64.100..000.000.

ცენტრალური სახელმწიფოები.

გერმანია . .	80 300..000 00.
ავსტრო-უნგრეთი	41.200.000 000.
ოსმალეთი . .	2.800.000 000.
ბულგარეთი	1.600.000 000.000.

ამ ციფრებიდან ნათლად სჩანს, რომ ანტანტის სახელმწიფოებს ომის საწარმოებლად დაუხარჯავთ 290 მილიარდი ხუთასი მილიონი ოქროს მანეთი, ცენტრალურ სახელმწიფოებს კი—125 მილიარდი ცხრაასი მილიონი ოქროს მანეთი. სულ გაუსვრიათ ჰაერში 416 მილიარდი 400 მილიონი ოქროს მანეთი.

ერთი წამით რომ შევჩერდეთ ამ ციფრებზე და შევეკითხოთ ჩვენს თავს, თუ რამდენი რამეს გაკეთება შეეძლებოდა ამ თანხით კულტურულ სფეროში, უსათუოდ მივიღებთ პასუხს: ბევრი რამესი.

მეცხრამეტე საუკუნეში ყველა ომების საწარმოებლად დახარჯულა 41 მალიარდი 100 მილიონი,— ერთი იმპერიალისტური ომი კი დაჯდა ათჯერ მეტი.

ომის საჭიროებისათვის დახარჯული, ფული რომ გადავაქციოთ ათ-ათ მანეთიან ოქროს ფულად და დავაწყოთ, მისი სიგრძე შეედრება 1000 კილომეტრს (კილომეტრი—თითქის ვერსტს უდრის). ეს ფული რომ გავუყოთ თანაბრად რუსეთის სახელმწიფოს მოსახლეობას, ყოველი მათგანი მიიღებს 3.200 ოქროს მანეთს.

სახელმწიფოების დავალიანება.

მთელი მსოფლიოს სიხელმწიფოების ვალი ორასი წლის განმავლობაში (1713—1914 წ.წ.) ავიდა 88 მილიარდ ოქროს მანეთამდე; 1919 წ. კი, ის გახდა 451 მილიარდი ოქროს მანეთი, ე. ი. ოთხჯერ მეტი.

ეს ვალი რომ გადახდილ იქნას, ყოველ მეომარ სახელმწიფოს მოსახლემ, დაწყებულმა ძუძუ მწოვარ ბავშიდან და გათავებული მომაკვდავ მოხუცამდე, უნდა შეიტანოს ცხრაასი მანეთი ოქროთი.

(დასასრული შემდეგ №-ში)

---

*) იხ. „წ, ა.“ № 556.

ვინ იქნება შემდეგი?

სამხედრო ტრიბუნალის თანამშრომლებმა:

1. გაბუნია ვარლამმა და
2. გოგიჩაიშვილი სავლემ,

გამოიწერეს თავიანთ სოფლების სამკითხველოებისათვის ჩვენი გაზეთის ეგზემპლიარი ერთი თვით.

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 496—1912 წელს მოცემული კონსტანტინე ცაგარელის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1300 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე.